

## *Il Nonno, con la pistola.*

ვანია ზალდასტანიშვილი ქორწილში არ უნდა დაეპატიჟებინათ. ეგ ბოლო დონის ვირიშვილობა იყო. მაგრამ იმათ რა იცოდნენ, ეგ რომ ვირიშვილობა იყო... ვანია კიდე შეურაწყოფილი იყო და იარაღზე ჩალიჩობდა, რომ საკურთხეველზე, პატარძლის თვალწინ მიეხვრიტა სიძე, იმიტომ, რომ ბევრ ფილმებს უყურებდა მაფიაზე და თანაც თავს დამცირებულად თვლიდა. ზალდასტანიშვილს საცოლე აახიეს. მის მაგივრად ჯვარსაც იწერდნენ და მერე იმასაც ეტყოდნენ ბავშვი მოგვინათლეო. მაგრამ ვანია იმასაც ფიქრობდა, რომ „ბელა მაფიაში“ უკაცებოდ დარჩენილმა სიცილიელმა ქვრივებმა სასწაული აბაროტი დადეს და ემანდ საქმროს ჩაპიზდვის მერე, ამ ჩემმა სატრფომ არ მიმასუხაროსო.

არადა, პლასტიკურ ოპერაციას თუ გავიკეთებ, კატო მაქაცარია უეჭველი მომცემსო, ფიქრობდა ბოლივიელი ორმოცდაათიანელების მიერ დაფინანსებული კერძო სკოლის ყარაული ივანე ზალდასტანიშვილი, რომელზეც ამბობდნენ დენი დე ვიტოზე დაბალი და მახინჯი კია, მაგრამ ახალგაზრდობაში მაგარი შემსრულებელი მამრი იყო და ამ სკოლის აწ გარდაცვლილ დირექტორს, ნათელა კასრამეს უბაზანებდაო. ოლონდ, კაწინკასთან მთლად მასე ხურუშიანადაც არ იყო ამბავი... სიბერესთან ერთად, სენტიმენტალური ჰორმონები მომძლავრებულიყო და პლატონური ოფოფებიც დაუფლებოდა სამოცდაათი წლის ყარაულს და როცა ახალ ინგლისურის მასწავლებელზე ფიქრობდა, რომ აქაოდა თუ ოპერაციას გავიკეთებო და ახალგაზრდა გავიჩითებო, ეგაო უეჭველი მომცემსო, მარტო ვულგარულ და მურტალ რამეებს არ გულისხმობდა. უბრალოდ თემქელი და გაუნათლებელი კაცი იყო ყარაული ზალდასტანიშვილი და სხვა ფრაზები არ იცოდა საიმისოდ, რომ თავისი უეცრად აალებული ცეცხლები აეხსნა. ჰო გეუბნებით, აზრზე არ იყო რა ერქვა იმას, რასაც გრძნობდა თორე, დაჟე პეპლებიც დაურბოდნენ მუცელში ამ მასწავლებლის დანახვაზე. ისე, ძალიანაც უტყდებოდა ეს ფაქტი, რადგან ოცდაათი წლის კატო მაქაცარიაზე თუნდაც აბსტრაქტული მასტურბაცია მთლად პედოფილიაში არ გადიოდა, მაგრამ მაინც ნიტო პონტი იყო, ორმოცი წლით უმცროს ქალზე ახურუშება მაშინ, როცა თანამშრომლები უკვე ყარაულის ქელებში წასადები ვენოკის ფულს აგროვებდნენ.

ხელახლა დაიბადა ვანია იმ პერიოდიდან, რაც დამსკი კატო მაქაცარიას თემოები პირველად დაინახა. ისიც კი იფიქრა, მარტი რა ჯანდაბად დაემთხვა ამ ამბებს, კატად ჰო არ უნდა გადავიქცეო და ცოტა შეშინდა კიდეც, კრუტუნი რო დავიწყო ამ ნაბიჭვარ სკოლის მოწაფეებს ნაზი კაცი ვეგონები და ავტორიტეტიც აღარ მექნებო, მაგრამ მერე გაახსენდა, ახალგაზრდა და ჟილკიანი რო იყო, მაშინაც გაზაფხულზე უყვარდებოდა საპირისპირო სქესები და მერე სულ იმას ცდილობდა, როგორმე ვინმე მაროჟნზე დაეპატიჟებინა, რო ძმაკაცებისთვის მოეყოლა ვერის ბაღში გოგოსთან ერთად ვიყავი და ეგ რაარი, დაჟე ვეზასავე კიდევაცო. ზასაობა იმიტომ უნდა დაემატებინა, რომ არ ეფიქრათ ამ არიფს მაროჟნი აყიდინეს და დაახვევინესო. მაგრამ არავინ... ქალიშვილი კიარა, კაციშვილი არ მიჰყვებოდა მაგას ვერის ბაღში, არც ესკიმოზე და არც პონჩიკზე, იმიტო რო არ ვარგოდა, არც ფასადზე და არც დავით სოკოლოვივით შეეძლო მჭერმეტყველება. არადა როგორ უნდოდა... როგორ უყვარდა ეს გაზაფხულის პეპლები და დიაცთა ნესტოების ოხშივარი ალერგიულ ფონზე... არავის აინტერესებდა რა და როგორ უყვარდა ვანიას, იმიტომ, რომ იმათ ლამაზი ტანები ჰქონდათ და სპორტსმენი კუროები ჰყავდათ, ფიზკულტურის ინსტიტუტიდან. ყველა გულს სტკენდა ახალგაზრდას, სიცოცხლით სავსეს... ეჰ ქალებო, ქალებო... ღირსები იყავით მანიაკი გამხდარიყო გულნატკენი ზალდასტანიშვილი, მაგრამ ბედმა გაგიღიმათ, რომ ახლა თქვენს ბუმბულს არ ხედავთ გაშლილს გაფანტულს ველადა და ამისთვის მადლობა ღმერთს კი არა, ყოფილი რომელიღაცა საჯარო სკოლის, ახლანდელი ბოლივიელ ორმოცდაათიანელთა კერძო სკოლის ყოფილ დირექტორ, ნათელა კასრამეს უთხარით, რომელმაც სითბოს უანგაროდ გაცემის უნარის წყალობით, რომელსაც თქვენ ბოზობას უწოდებთ, შეავსო ის სიცარიელე, სადაც სულ ცოტა დაგვიანების შემთხვევაში დაუოკებელი ქალთმომძლეობა დაისადგურებდა.

მაგრამ მაინც, ყარაული ძალიანაც გულგატეხილი და საკმაოდ გაბოროტებულიც იყო საიმისოდ, რომ სასიყვარულო ჰეფიენდების არსებობის აბსურდული თეორია დაეჯერებინა, რომლისაც მხოლოდ უმიზნოდ ბედნიერებს და პაულო კოელიოსნაირ ბანძ მწერლებს სჯერათ. თანაც ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ვია-გრას არსებობის შესახებ არაფერი იცოდა და რომც სცოდნოდა მიზეზულ ხელფასს მაგაში არ მისცემდა, იმიტომ, რომ გაუნათლებელთან ერთად, ძალიან წუწკი კაციც იყო ყარაული ვანია ზალდასტანიშვილი. ვანიას არ სჯეროდა ჰეფიენდების და შურდა ყველასი, ვისაც სასიყვარულო ისტორიის

ბედნიერი დასასრული ჰქონდა. ვანიას შურდა ყველგან... სკოლაში, თბილისში, ბარში, კინოში... ჰიუ გრანტს და რიჩარდ გირს სულ დედისტრაკს აფარებდა, რადგან აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ ჯულია რობერტსი ბოლოს ორივემ გააპრავა. იჯდა ყარაულის კაბინაში ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული მოხუცი და ფიქრობდა იმაზე, რომ სჯობდა ფრითი ვუმენი ბოზად დარჩენილიყო, რადგან ასე ფრითი ვუმენიც დაიტანჯებოდა და რიჩარდ გირიც. დაიტანჯებოდნენ ისე, როგორც თავად იტანჯებოდა, 1970 წელს, ვერის ბაღში ეულად მჯდომი, ასტრას ოხშივარს მომჩივანი ნორჩი რომეო. სადაც მე, იქაც თქვენ, თქვენი დედაც მოვსდლანო, ფიქრობდა ვანო. პარადოქსია ის, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც ყარაული ვანია ერთ-ერთი იმ ბებერთაგანი ეგონათ, რომელსაც საკუთარი ცუილის სუნზე მელანქოლიური კაეშნები უტევენ, სულ არ ჰქონდათ ფრითი ვუმენი ნანახი და საერთოდაც სამეფო კარის თამაშების და ვიკინგების მეტს არაფერს უყურებდნენ.

კატო მაქაცარია კი, ახლაც ისევ ისეთი ხავერდოვანი გახლდათ, როგორც პირველ კურსზე, როცა თსუ-ს ხევში ჩუმად ეწეოდა პაპიროზს, ემანდ ბიცოლაჩემმა არ დამინახოსო და უფრო ხავერდოვანიც, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპული რევოლუციები, მკვეთრად ანტი-საბჭოთა ლოზუნგებით. კატო მაქაცარია არასდროს ყოფილა ფეხმძიმედ და არასდროს ჰქონია ცელულიტები. და აი, უშვილოაო რომ გაიგო, ეს ფაქტი კიდევ უაღრესად აბედნიერებდა ყარაულ ვანიას, რადგან მისთვის უშვილო ავტომატურად უქმროსაც ნიშნავდა, რაც თავის მხრივ მაქაცარიას ქალიშვილობასაც უსვამდა ხაზს და თქვენ არ მოგეხსენებათ, მაგრამ ახლა მოგახსენებთ, რომ ვანია ზალდასტანიშვილი ძალიან ტრადიციული კაცი იყო და მისი წარმოსახვითი ცოლიც კი, გაუხედნავი უნდა ყოფილიყო. ბედის ნებიერ კატოს სულაც არ აღელვებდა ის, რომ მალე შუახნის ქალის სტატუსს აირტყამდა და ის თუ არ მივიდოდა ბალზაკთან როგორც მკითხველი, ბალზაკი მივიდოდა მასთან, როგორც ფსიქოლოგიური თუ ასაკობრივი თუ რაღაცნაირი ფენომენი, რომელიც ქალებს, მოკლე კაბებს, გოიმური, ნახატებიანი მარათი უცვლის ხოლმე.

და მაინც, ყარაულ ვანოს თავდავიწყებით უყვარდა ასეთი ახალგაზრდა და წარმატებული ქალბატონი, რომელსაც ინგლისურის ენის C2 სერთიფიკატი, სამი ტელევიზიის ჩართული და ორის გამორთული კამერის წინ, თავად ბრიტანეთის ელჩმა, ტედი შერინგემმა გადასცა. უყვარდა ზალდასტანიშვილს, უყვარდა და ბოლოსკენ იმისიც კი სჯეროდა, რომ მალე ეს ქალი მისი გახდებოდა, რადგან როგორც ზემოთ მიგახსენეთ, ბანკიდან სესხს გამოიტანდა,

ნაოჭებს გაისწორებდა, თმას გადაინერგავდა, შანგრილაში რამე წყალს იპოვიდა და სხეული ისევ ისეთი ექნებოდა, როგორც 1981 წლის მაისში ჰქონდა, როცა ათლექტურობაში საშა ჩივამეს ეჯიბრებოდა. ახლა აღარ სრცხვენოდა საკუთარი ლტოლვის გამო, რადგან თავს შთააგონა, სიყვარულს საზღვრები ვაბშემც არა აქო და ასაკი კიდე პირობითი ცნებააო, თუ არ გჯერათო, სოფია როტარუს ჰკითხეთო და მართალიც იყო ვანია, იმიტო, რო ჯერ ეგ ერთი გაკვარი ყველანაირ ბორდერიზაციას და მეორეც, სოფია როტარუ ჯერაც კაი დაზგაა.

ნეტავ სულაც არ გათენებულიყო ის დღე, ვანიასთვის, რომლის დამესაც ბოლივიელ ორმოცდაათიანელთა სკოლის ახალმა დირექტორმა, კარლო კაკუშამემ ჯიპით ლისზე აკაწრა. მერე გვერდით მჯდომ კატო მაქაცარიას რემენი გაუხსნა და საკოცნელად გადაიწია. კატომ რამე არ შეგეშალოსო ეეო... ამან არაო, რა უნდა შემეშალოსო და მერე მაინც გადაიწია და უკან აღარ გადმოიწია. კატო არ იყო მტყუანი, კატო პრაქტიკული იყო. ახალ დირექტორს, ფულიც ჰქონდა და მკვრივი კუნთებიც.

თქვენ არასოდეს მიგიღიათ სატრფოს ქორწილის მოსაწვევი დონ კალოჯერო. ამიტომ რაც არ უნდა მოეხასიეთოს, ვერ გაკიცხავთ ბებერ ყარაულს. თქვენ არასდროს დაუმცირებიათ ასე არავის, რადგან ყველა ქალი, რომელმაც სხვა აირჩია, ან შინაბერად, ანდაც სულაც ქვრივად აქციეთ. თქვენ არ იცით და კასტელკუტოს ბირჟებზეც კი ამბობდნენ, კალოჯერო ტატანჯელოს გაუფრენია, მავრი წინაპრების გზას დაადგა და მონტელეპრეს ყველა ქალი თავისთვის უნდაო, იმიტომაო, რომაო, კაცი აღარ დატოვა ცოცხალი მაგ ქალაქში და მარტო შავოსანი და შავტუხა არაბიკა ნაშები დაბოდიალობენ ვენდეტაზე მეოცნებე მოელვარე თვალებით და ზედ კალოჯეროს ასაჩეხად მომართული ალესილი წამწამებითო. არადა ჩვენ ჰო ვიცით კალოჯერო, რომ თქვენ ეგეთი ბოზი კაცი არ იყავით და ისიც ხომ ვიცით, რომ მონტელეპრელი კაცების ნახევარი ტური ჯულიანომ მიასიკვდილა, აქაოდა ვინც ასპანუ პიშოტას და ტურის უღალატებს ძაღლივით უნდა მოკვდესო. მეორე ნახევარი კიდე კარაბინიერებმა გასიტუმრეს, ემანდ ჯულიანოს რატო ემხრობითო და ესე, ვინც ემხრობოდა ისიც კვდებოდა და ვინც არა ისიც... სიცილიაზე ქალები სულაც არ არიან ბოზები. არც ორგულობით გაგამწარებენ, მაგრამ თუ იმას მოუკლავ ვინც მართლა უყვართ, ისე გადაგეკიდებიან, რომ შეიძლება ომერტაც მიივიწყონ, ანდაც ძალიანაც მიაწვნიენ ომერტას და ჩუმად მიგასკვდილონ. მე ეგ ვიცი და ისიც ვიცი, რო თქვენც იცით ეგა... მაგიტომ ვერ ამოხოცავდი შენ მონტელეპრეს მამრებს. ცხოვრება რომ ისევ უხარია და ქალური აზაროტისაც

რომ ეშინია, მაგიტომ ვერ მოკლავს კატოს დირექტორ საქმროს ვანია ზალდასტანიშვილიც.  
ამიტომ ორი გასროლა იქნება. დათმობა არ იქნება. აღარც რისკი იქნება. იმიტომ, რომ... ინ  
სიჩილია, ლე დონე სონო პიუ ფორტი დი ლუპარა!